

შპს „საერთაშორისო კორპორაცია

აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	14
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	14
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	25
6. ამონაგები.....	30
7. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	31
8. სხვა შემოსავალი.....	31
9. კომერციული ხარჯები.....	31
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	32
11. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	32
12. საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა.....	32
13. ძირითადი საშუალებები	33
14. საინვესტიციო ქონება.....	34
15. იჯარები	34
16. არამატერიალური აქტივები.....	36
17. ინვესტიციები	36
18. მარაგები.....	37
19. სხვა მოთხოვნები.....	38
20. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	38
21. არამაკონტროლებელი წილი.....	39
22. მიღებული სესხები	40
23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	41
24. პირობითი ვალდებულებები	42
25. დაკავშირებული მხარეები	42
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	43

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება	44
--	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“-ის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს,

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“-ის (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალისა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდა ჯგუფის შვილობილი საწარმოების, შპს „აი სი არ ფულდ ენდ ბევერეჯის“ და შპს „ჯეო ორგანიკის“ გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ნიშნები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შესაბამისად 139,992 და 3,126,938 ლარის ოდენობით (2023 წელი: 102,016 და 3,275,951 ლარი). მოცემული თარიღებისათვის ჯგუფს არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, აქტივების გამოყენების უფლებასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაამჟღავნა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 40-ით (პუნქტი 79), რაც წარმოადგენს ფასს-ების მოთხოვნებიდან გადახვევას.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბაზის“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებულ გარემოებათა ამსახველი აზრები

ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 22-ე შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ჯგუფს მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური შეზღუდვები, რომელიც ვერ შეასრულა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფას ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენს და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით



თბილისი, საქართველო

15 სექტემბერი 2025

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	6	136,793,354	123,752,143
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	7	(71,981,307)	(63,360,771)
საერთო მოგება		<u>64,812,047</u>	<u>60,391,372</u>
სხვა შემოსავლები	8	718,732	22,105
კომერციული ხარჯები	9	(37,858,441)	(33,641,881)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(7,566,543)	(6,461,395)
საოპერაციო მოგება		<u>20,105,795</u>	<u>20,310,201</u>
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოში	17	885,236	714,184
ფინანსური შემოსავალი	11	-	206,062
ფინანსური ხარჯი	11	(4,637,962)	(3,278,403)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა მოგება დაბეგვრამდე	12	(502,688)	(391,798)
		<u>15,850,381</u>	<u>17,560,246</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		(582,352)	(282,353)
წლის სრული შემოსავალი		<u>15,268,029</u>	<u>17,277,893</u>
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე		15,304,470	17,316,477
არამაკონტროლებელ წილზე		(36,441)	(38,584)
წლის სრული შემოსავალი		<u>15,268,029</u>	<u>17,277,893</u>

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი		ნ. ანდიაშვილი
ფინანსური მენეჯერი		ე. ძაბამია

11-43 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	6	136,793,354	123,752,143
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	7	(71,981,307)	(63,360,771)
საერთო მოგება		64,812,047	60,391,372
სხვა შემოსავლები	8	718,732	22,105
კომერციული ხარჯები	9	(37,858,441)	(33,641,881)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(7,566,543)	(6,461,395)
საოპერაციო მოგება		20,105,795	20,310,201
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოში	17	885,236	714,184
ფინანსური შემოსავალი	11	-	206,062
ფინანსური ხარჯი	11	(4,637,962)	(3,278,403)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	12	(502,688)	(391,798)
მოგება დაბეგვრამდე		15,850,381	17,560,246
მოგების გადასახადის ხარჯი		(582,352)	(282,353)
წლის სრული შემოსავალი		15,268,029	17,277,893
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე		15,304,470	17,316,477
არამაკონტროლებელ წილზე		(36,441)	(38,584)
წლის სრული შემოსავალი		15,268,029	17,277,893

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ნ. ანდიაშვილი
ფინანსური მენეჯერი	_____	ე. ძაძამია

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	22,731,760	21,345,884
საინვესტიციო ქონება	14	6,929,157	4,326,295
აქტივების გამოყენების უფლება	15	28,525,421	25,925,274
არამატერიალური აქტივები	16	1,766,354	1,123,170
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	13, 14	2,114,502	777,035
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	17	10,262,128	6,525,262
სხვა ინვესტიციები	17	5,295,500	2,329,148
		77,624,822	62,352,068
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	18	42,078,172	36,931,252
სხვა ინვესტიცია	17	571,709	535,363
გადახდილი ავანსები		1,680,784	2,340,920
გაცემული სესხები		-	843,288
სხვა მოთხოვნები	19	559,626	1,362,830
საგადასახადო აქტივი		129,803	31,444
ფული და ფულის ეკვივალენტები	20	6,576,945	5,174,115
		51,597,039	47,219,212
სულ აქტივები		129,221,861	109,571,280
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გადახდილი კაპიტალი		1,230,000	1,230,000
გაუნაწილებელი მოგება		74,944,744	63,182,871
		76,174,744	64,412,871
არამაკონტროლებელი წილი	21	2,113,213	(168,279)
სულ კაპიტალი		78,287,957	64,244,592
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	22	523,589	560,988
მიღებული სესხები	22	-	920,043
საიჯარო ვალდებულება	15	25,405,177	20,878,419
		25,928,766	22,359,450
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23	12,674,107	11,061,545
მიღებული სესხები	22	4,679,841	3,392,993
საიჯარო ვალდებულება	15	5,956,873	6,452,595
საგადასახადო ვალდებულება		1,694,317	2,060,105
		25,005,138	22,967,238
სულ ვალდებულებები		50,933,904	45,326,688
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		129,221,861	109,571,280

11-43 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	გადახდილი კაპიტალი*	გაუნაწილებელი მოგება	ჯგუფის მესაკუთრეთა კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	1,230,000	47,466,394	48,696,394	(129,695)	48,566,699
წლის სრული შემოსავალი	-	17,316,477	17,316,477	(38,584)	17,277,893
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,600,000)	(1,600,000)	-	(1,600,000)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,230,000	63,182,871	64,412,871	(168,279)	64,244,592
წლის სრული შემოსავალი	-	15,304,470	15,304,470	(36,441)	15,268,029
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	-	-	2,261,840	2,261,840
არამაკონტროლებელი წილის გამოსყიდვა	-	(242,597)	(242,597)	56,093	(186,504)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(3,300,000)	(3,300,000)	-	(3,300,000)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,230,000	74,944,744	76,174,744	2,113,213	78,287,957

(*) 2022 და 2023 წლების 31 დეკემბერს 1,230,000 ლარი წარდგენილი იყო, როგორც საწესდებო კაპიტალი. 2024 წელს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოცემული თანხების წარდგენა, როგორც გადახდილი კაპიტალი, რადგან ამგვარი წარდგენა უკეთესად გამოხატავს კაპიტალის შინაარსს.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		15,850,381	17,560,246
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		8,900,269	8,614,808
ფინანსური ხარჯი	11	4,637,962	3,278,403
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	10	43,057	143,224
მარაგების გაუფასურება	10	600,775	104,633
საიჯარო აქტივის გასვლიდან მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა	15	(2,684)	3,882
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული ზარალი, წმინდა	12	502,688	244,357
მოგების წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოში	17	(885,236)	(714,184)
მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება	17	-	87,282
საინვესტიციო შემოსავალი სხვა ინვესტიციებიდან	6	(443,081)	(222,081)
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება	6,7,8	(1,693,935)	(17,610)
ფინანსური შემოსავალი	11	-	(91,909)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება	10	63,078	235,083
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		27,573,274	29,226,134
მარაგების ზრდა		(5,127,914)	(5,590,874)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		1,400,262	342,999
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		1,412,400	(763,503)
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		(464,147)	(28,967)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		24,793,875	23,185,789
გადახდილი პროცენტი		(1,165,776)	(1,210,503)
გადახდილი მოგების გადასახადი		(582,352)	(282,353)
მიმდინარე საბანკო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი		-	58,621
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		23,045,747	21,751,554
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(4,996,226)	(4,630,759)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(5,273,848)	(800,740)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		608,835	-
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		411,452	-
სესხის დაბრუნება		843,288	-
სესხის გაცემა		-	(810,000)
სხვა ინვესტიციების შეძენა, წმინდა		(2,559,617)	(2,193,639)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის (ზრდა)/შემცირება		(1,250,000)	33,752
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(12,216,116)	(8,401,386)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა		(6,722,340)	(18,912,870)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	15	(8,175,449)	(7,360,905)
გადახდილი დივიდენდი		(3,300,000)	(4,379,052)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელისთვის გადახდილი თანხა		(105,900)	-
არამაკონტროლებელი წილის ზრდა		2,075,336	-
სესხების მიღება		7,010,784	6,332,056
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(9,217,569)	(24,320,771)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		1,612,062	(10,970,603)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20	5,174,115	16,683,861
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	12	(209,232)	(539,143)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	20	6,576,945	5,174,115

11-43 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1995 წელს, როგორც სავაჭრო და მომსახურების კომპანია. კომპანია რეგისტრირებულია საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი სარეგისტრაციო ნომერია 202907943.

ჯგუფი აერთიანებს შემდეგ შვილობილ და მეკავშირე საწარმოებს (შემდგომში ჯგუფი):

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	31.12.2024	31.12.2023	შვილობილი/ მეკავშირე	საოპერაციო საქმიანობა
შპს აი სი არ ტრეიდი	საქართველო	100%	100%	შვილობილი	საცალო ვაჭრობა
შპს ჩემი სახლი	საქართველო	100%	100%	შვილობილი	საცალო ვაჭრობა
შპს აი სი არ ფულდ ენდ ბევერეჯ	საქართველო	100%	100%	შვილობილი	სარესტორნო საქმიანობა
შპს აი სი არ სოლუშენ გრუპი	საქართველო	100%	100%	შვილობილი	სარემონტო მომსახურება
შპს ჯეო ორგანიკს	საქართველო	90%	85%	შვილობილი	სოფლის მეურნეობა
შპს ჯორჯიან დისტრიბუშენ დეველოპმენტ ქომფანი 2024	საქართველო	51%	-	შვილობილი	უძრავი ქონება
შპს ქარვასლა	საქართველო	30.99%	28.26%	მეკავშირე	უძრავი ქონება
შპს აგრეფარმინგი	საქართველო	-	25%	მეკავშირე	სოფლის მეურნეობა
შპს სვით გრუპი 2023	საქართველო	30%	-	მეკავშირე	უძრავი ქონება

კომპანიას არ ჰყავს მაკონტროლებელი პირი, ხოლო მფლობელები არიან:

	31.12.2024	31.12.2023
კახა ხაზარაძე	29.73%	29.73%
ნანი ანდიაშვილი	25.27%	25.27%
ნათია შარაბიძე	15%	15%
სალომე ხაზარაძე	15%	15%
მარიამ ხაზარაძე	15%	15%
	100%	100%

კომპანიის იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ., N173/ ბორჯომის ქ.,1; ხოლო მისი ფაქტობრივი მდებარეობა - თბილისი, დ. აღმაშენებლის მე-12 კმ.

კომპანიის დირექტორია ქალბატონი ნანი ანდიაშვილი.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა სხვა ინვესტიციებში ასახული სავაჭრო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარებში, თუ სადმე სხვაგვარად არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება). შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება). შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში). შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

► ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

► ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- ▶ ფინანსური აქტივები არა-რეკურსული მახასიათებლებით;
- ▶ ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ▶ ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- ▶ მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

ჰეჯირების აღრიცხვა მათთვის, ვინც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს (შესწორებები IFRS 1-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება);

- ▶ „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- ▶ მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ▶ ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ▶ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- ▶ საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- ▶ საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- ▶ საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები

იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს ჯგუფის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომელზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ ჯგუფის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, ჯგუფი საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის, რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრდასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

4.2. შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის - „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2024	31.12.2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753
ლარი/1 გირვანქა სტერლინგი (ფუნტი)	3.5349	3.4228
ლარი/1,000 უზბეკური სუმი	0.2177	-

4.3. ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სხვა მოთხოვნებით, სხვა ინვესტიციებით, გაცემული სესხებითა და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ან მათი რეალიზაცია. ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირს და მასზე დარიცხულ დივიდენდს, ასევე მათი რეალიზაციიდან მიღებულ თანხებს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული რეალური ღირებულების შესაბამისად, ცვლილების მოგებაში ან ზარალში ასახვის სახით.

გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც ჯგუფი ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით.

გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- ინდივიდუალურად განიხილავს დაკავშირებული მხარეებისგან მისაღებ თანხებს
- ინდივიდუალურად განიხილავს მნიშვნელოვანი დებიტორების მიმართ არსებულ მოთხოვნებს
- ჯგუფურად ფასდება ყველა სხვა დებიტორული დავალიანება, რადგან ჯგუფის გამოცდილებით დარჩენილი ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები

ჯგუფი ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს, რომელიც ჯგუფს შესაძლოა გააჩნდეს მის დაკავშირებულ მხარეებთან ბიზნეს საქმიანობის პროცესში. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჯგუფის ხელმძღვანელობა აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება გამოცდილების და მომავალი მოლოდინების საფუძველზე.

მნიშვნელოვანი დებიტორების მიმართ არსებული მოთხოვნები

აღნიშნულ კატეგორიაში განხილულ მოთხოვნების შეფასებისას ჯგუფი მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორსა და ინდივიდუალურ გარემოებას, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს: ა) დებიტორის ფინანსურ მდგომარეობას, ბ) მისაღები თანხების ვადაგადაცილების სტატუსს, გ) კონტრაგენტთან არსებულ დავალიანებას, დ) ნებისმიერ ხელმისაწვდომ არაფინანსურ ინფორმაციას და ა.შ.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის, სადაც ჯგუფი ოპერირებს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

ჯგუფმა არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე ჯგუფი არ აღიარებს გაუფასურების ზარალს ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (იი) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი თავის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთ ჩათვლისთვის.

4.4. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

4.5. ამონაგები

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა. ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ფეხსაცმლის, ბავშვთა ტანსაცმლის და აქსესუარების საცალო ვაჭრობა, ავეჯის და სახლის აქსესუარების საცალო ვაჭრობა, კვების ობიექტებიდან მიღებული შემოსავლები, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს.

კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

ჯგუფი საოპერაციო საქმიანობის პროცესში ახორციელებს სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს ავანსად უხდის მომავალში გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის და, შესაბამისად, ჯგუფი ამ შემოსავალს მხოლოდ მაშინ აღიარებს, როდესაც ამგვარ სამომავლო საქონელს, ან მომსახურებას გადასცემს. ჯგუფის სასაჩუქრე ბარათები არის უვადო. აღნიშნული ბარათები გამოყენებამდე აღიარდება როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება. ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს ფასდაკლების ბარათებს, კერძოდ, მომხმარებელი ჯგუფის სავაჭრო ობიექტებში შეძენილი პროდუქციის მოცულობიდან გამომდინარე გამოიმუშავებს ფასდაკლების პროცენტს, რომლის გამოყენება და პროდუქციის ფასდაკლებით შეძენა შეუძლია მომავალ პერიოდში.

როდესაც მომხმარებელი პროდუქციას შეიძენს ფასდაკლებით (ფასდაკლების ბარათის გამოყენება), ჯგუფი გადაცემული საქონლიდან ამონაგებს აღიარებს ფასდაკლების გათვალისწინებით.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. ჯგუფი მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

ჯგუფი გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქციაზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნების და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გადახდილი ანაზღაურების სრული ან ნაწილობრივ ანაზღაურება;
- სხვა პროდუქტის მიღება დაბრუნების სანაცვლოდ;

დაბრუნების უფლებით გაყიდული პროდუქციის აღრიცხვისათვის ჯგუფი აღიარებს:

- ამონაგებს გადაცემული პროდუქციისთვის, ანაზღაურების იმ ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც ჯგუფი მოელის;
- ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას; და
- აქტივს თავის უფლებასთან დაკავშირებით, მომხმარებლისგან მიიღოს ის პროდუქცია, რომელთა ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულებას დააკმაყოფილებს ჯგუფი;

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

4.6. სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

4.7. იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულებას არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა ორივე შემდეგი უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულება ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადასახდელები გაიანგარიშება იმ მოცულობით, რამდენადაც ისინი დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადასახდელები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, ასევე მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ:

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

იჯარის მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება აღირიცხება შემდეგნაირად:

- მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო. მოგება/ზარალი აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან;
- კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებულს), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადასახდელების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ამგვარი უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადასახდელები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიან იჯარა და იჯარის, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით, გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარების პორტფელური აღრიცხვა

ჯგუფი მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელს აღრიცხავს გამარტივებული მიდგომის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვარაუდობს, რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით იჯარის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ იქნება პორტფელის შემადგენელი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ხელშეკრულებების პორტფელის მიხედვით აღრიცხვისას, ჯგუფი იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც ასახავს პორტფელის სიდიდესა და შემადგენლობას.

ჯგუფი იყენებს ერთ დისკონტირების განაკვეთს საკმარისად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით (როგორცაა, მაგალითად მსგავსი კლასის საიჯარო აქტივების საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებსაც მსგავსი დარჩენილი იჯარის ვადა აქვთ ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში და ნომინირებულია ერთი და იგივე ვალუტაში).

4.8. ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

4.9. დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში - „გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა“. ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

4.10. მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ ჯგუფს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგები ძირითადად მოიცავს სარეალიზაციოდ გამიზნულ მარაგებს. მარაგების ჩამოწერა ხდება ფიფო მეთოდით.

4.11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი

შენიშვნა

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

სავაჭრო ობიექტების ინვენტარი და აღჭურვილობა

სატრანსპორტო საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა

კვების ობიექტების აღჭურვილობა და ინვენტარი

სხვა

მიწა

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

50

უმცირესი იჯარის ვადასა და აქტივის მომსახურების ვადას შორის

3-15

5

3-15

2-7

3-15

არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

4.12. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას ჯგუფი აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 50 წლით. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

4.13. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმოები არიან კომპანიები, რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვა ხდება თავდაპირველად მისი თვითღირებულებით და შემდგომ კაპიტალ მეთოდით. მეკავშირე საწარმოებისგან მიღებული დივიდენდები ამცირებს მეკავშირე საწარმოში არსებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას.

4.14. მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

4.15. გადახდილი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით. გადახდილი კაპიტალი წარმოადგენს სხვა კაპიტალს, რომელიც არ არის ავტორიზებული კაპიტალი.

4.16. დივიდენდები

გაცემული დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა ისინი. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

4.17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4.18. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და წილის გამოსყიდვის ვალდებულებებს. აღნიშნული ვალდებულებების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სხვა ინვესტიციები	5,867,209	2,864,511
სხვა მოთხოვნები	559,626	1,362,830
გაცემული სესხები	-	843,288
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,576,945	5,174,115
	13,003,780	10,244,744

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,770,822	9,039,465
მიღებული სესხები	4,679,841	4,313,036
საიჯარო ვალდებულებები	31,362,050	27,331,014
	46,812,713	40,683,515

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზარებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სხვა მოთხოვნები, მიღებული სესხები, სხვა ინვესტიციები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, წილის გამოსყიდვის ვალდებულება, საიჯარო ვალდებულებები, მიღებული სესხები მოხდა პირველი, მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკონტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია ჯგუფის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას, მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: დამფინანსებელი დაკავშირებული მხარეა თუ სხვა იურიდიული პირი და წარსულში ფინანსური სიმწელების არსებობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა). ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნები გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
ინდივიდუალურად გასაუფასურებელი მოთხოვნები	533,379	0%	-
მოთხოვნები ჯგუფური გაუფასურების ანარიცხით			
მიმდინარე	20,809	1%	(208)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	3,643	5%	(182)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	2,256	10%	(226)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	321,675	100%	(321,520)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	348,383		(322,136)
სულ ფინანსური აქტივები გაუფასურებამდე	881,762		(322,136)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(322,136)		
სულ ფინანსური აქტივები	559,626		

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნები გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე* (18)	198,218	0%	-
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები	1,146,063	0%	-
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები			
მიმდინარე	13,120	1%	(131)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	5,224	5%	(261)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	663	10%	(66)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	258,599	100%	(258,599)
	277,606		(259,057)
ფინანსური აქტივები გაუფასურებამდე	1,621,887		(259,057)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(259,057)		
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	1,362,830		

ჯგუფი ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივების სავალუტო რისკის მართვისთვის.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	უზბეკური სუმი	31.12.2024
ფინანსური აქტივები						
სხვა ინვესტიციები	-	4,252,866	-	1,042,634	571,709	5,867,209
სხვა მოთხოვნები	472,384	61,830	25,412	-	-	559,626
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,063,924	5,317,256	71,868	123,897	-	6,576,945
	1,536,308	9,631,952	97,280	1,166,531	571,709	13,003,780
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,601,914	3,873,834	1,295,074	-	-	10,770,822
მიღებული სესხები	1,293,296	-	3,386,545	-	-	4,679,841
საიჯარო ვალდებულებები	2,424,428	28,937,622	-	-	-	31,362,050
	9,319,638	32,811,456	4,681,619	-	-	46,812,713
სავალუტო პოზიცია	(7,783,330)	(23,179,504)	(4,584,339)	1,166,531	571,709	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
ფინანსური აქტივები					
სხვა ინვესტიციები	-	2,477,051	-	387,460	2,864,511
სხვა მოთხოვნები	582,213	191,573	98,177	490,867	1,362,830
გაცემული სესხი	843,288	-	-	-	843,288
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,006,430	73,634	55,452	38,599	5,174,115
	6,431,931	2,742,258	153,629	916,926	10,244,744
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,025,711	2,123,046	1,890,708	-	9,039,465
მიღებული სესხები	1,268,503	472,377	2,572,156	-	4,313,036
საიჯარო ვალდებულებები	2,440,692	24,890,322	-	-	27,331,014
	8,734,906	27,485,745	4,462,864	-	40,683,515
სავალუტო პოზიცია	(2,302,975)	(24,743,487)	(4,309,235)	916,926	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ღირებულების მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
ვალუტის კურსის მგრძნობელობა	20%	-20%	20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	(4,635,901)	4,635,901	(4,948,697)	4,948,697
ევროს ეფექტი	(916,868)	916,868	(861,847)	861,847
ფუნტის ეფექტი	233,306	(233,306)	183,385	(183,385)
უზბეკური სუმის ეფექტი	114,342	(114,342)	-	-

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი, რომელიც ეფუძნება სახელშეკრულებო დაუდისკონტრირებელ დაფარვის ვალდებულებებს. ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება მოთხოვნის შემთხვევაში დაფარვას, განიხილება ისე, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ გაიცა.

ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულება:				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,770,822	-	-	10,770,822
მიღებული სესხი	4,033,591	1,210,001	-	5,243,592
საიჯარო ვალდებულებები	8,924,866	30,900,087	-	39,824,953
	23,729,279	32,110,088	-	55,839,367

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულება				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,039,465	-	-	9,039,465
მიღებული სესხი	3,409,384	1,806,001	-	5,215,385
საიჯარო ვალდებულებები	7,876,686	26,798,500	-	34,675,186
	20,325,535	28,604,501	-	48,930,036

ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

6. ამონაგები

	2024	2023
ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები	97,149,243	87,813,947
ავეჯის და სახლის აქსესუარები	29,713,045	28,628,009
კვების ობიექტები	5,535,710	5,705,013
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	3,805,148	1,352,619
სხვა	590,208	252,555
	136,793,354	123,752,143

ჯგუფის ამონაგები მოიცავს ფეხსაცმლის, ბავშვთა ტანსაცმლის და ქალის აქსესუარების საცალო ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავლებს, ასევე, ავეჯის და სახლის აქსესუარების საცალო და საბითუმო ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავლებს. ჯგუფის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებელზე გადაცემის დროს. ამონაგები აღიარდება დროის იმ მომენტში როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი საქონელზე. ჯგუფი მარაგების რეალიზაციას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე.

კვების ობიექტებიდან მიღებული ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. ამონაგები (გაგრძელება)

ჯგუფის საიჯარო საქმიანობა მოიცავს არადაკავშირებულ მხარეებზე უძრავი ქონების გაქირავებას. ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები არის ძირითადად ფიქსირებულ ფასიანი და მოიცავს შეწყვეტის უფლებას მხარეთა წინასწარი შეტყობინებით 1-დან 3 თვემდე. იჯარის ობიექტთან დაკავშირებული რისკების მართვისთვის ჯგუფი იყენებს მოკლევადიან ხელშეკრულებებს მხარეთა შეთანხმებით გაგრძელების უფლებით, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შეწყვეტის უფლების დატოვებას. ჯგუფის მომავალი საიჯარო შემოსავალი მოიცავს 1 მილიონ ლარს 2024 წლისთვის, თუ არ მოხდა მხარეთა შეთანხმებით საიჯარო ვალდებულების შეწყვეტა ან სხვა პირობების მოდიფიკაცია. საიჯარო შემოსავალთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს საინვესტიციო ქონების ცვეთას (შენიშვნა 14) და საინვესტიციო ქონების საფუძველზე აღიარებულ ქონების გადასახადს.

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, შემოსავლებთან დაკავშირებულ გარიგებებში იგი არის მარწმუნებელი, რადგან ჯგუფს აქვს აღებული შესასრულებელი ვალდებულება ყველა მსგავს გარიგებაში, აქვს კონტროლი ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და ატარებს მარაგების გაუფასურების რისკებს.

დამატებითი ინფორმაცია ამონაგების შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

7. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები	(48,788,711)	(42,726,104)
ავეჯი და სახლის აქსესუარები	(18,551,541)	(18,058,066)
კვების ობიექტები	(2,970,668)	(2,371,920)
გაყიდული საინვესტიციო ქონება	(1,070,844)	-
სხვა	(599,543)	(204,681)
	(71,981,307)	(63,360,771)

8. სხვა შემოსავალი

	2024	2023
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	357,243	-
სხვა	361,489	22,105
	718,732	22,105

9. კომერციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(19,107,615)	(16,813,803)
ცვეთა და ამორტიზაცია	(7,690,590)	(7,764,158)
რეკლამა	(4,063,625)	(3,021,872)
იჯარა*	(1,934,905)	(1,435,308)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(1,320,905)	(1,360,734)
სავაჭრო ობიექტების მომსახურების ხარჯი	(1,221,415)	(1,072,441)
ელექტრონული გაყიდვების საკომისიო	(509,683)	(495,617)
კომუნალური გადასახადები	(556,673)	(453,370)
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	(528,263)	(431,936)
რემონტი და შეკეთება	(292,834)	(256,575)
სხვა	(631,933)	(536,067)
	(37,858,441)	(33,641,881)

*იჯარის ხარჯი მოიცავს მოკლევადიან საიჯარო გადასახდელებს და ცვლად იჯარას, რომელიც დამოკიდებულია სავაჭრო ობიექტებიდან მიღებულ ბრუნვაზე და გაიანგარიშება საიჯარო ხელშეკრულებაში მითითებული ფიქსირებული პროცენტის მიხედვით.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(4,417,867)	(3,024,815)
მარაგების გაუფასურება	(600,775)	(104,633)
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები	(584,422)	(677,122)
პროფესიული მომსახურება*	(434,413)	(381,058)
სამეურნეო ხარჯები	(364,732)	(489,602)
ცვეთა	(346,139)	(291,768)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(152,153)	(302,102)
საბანკო ხარჯი	(90,817)	(87,555)
კომუნიკაციის ხარჯი	(64,230)	(47,514)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(63,078)	(235,083)
დაზღვევა	(56,378)	(43,791)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(43,057)	(143,224)
კომუნალური გადასახადები	(39,024)	(50,078)
მარკეტინგის ხარჯი	(12,780)	(184,829)
საწვავი	(6,033)	(5,360)
მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება	-	(87,282)
სხვა	(290,645)	(305,579)
	(7,566,543)	(6,461,395)

*2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული თითოეული წლისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 110,000 და 82,000 ლარს, შესაბამისად.

11. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

	2024	2023
ფინანსური შემოსავალი		
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული კურსთაშორისი სხვაობა	-	85,623
მიღებული სესხებთან დაკავშირებული კურსთაშორისი სხვაობა	-	61,818
საპროცენტო შემოსავალი	-	58,621
	-	206,062
ფინანსური ხარჯი		
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(932,201)	(1,079,934)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	(2,453,090)	(2,067,900)
საბანკო გარანტიის საკომისიო	(233,575)	(130,569)
მიღებულ სესხებთან დაკავშირებული კურსთაშორისი სხვაობა	(53,568)	-
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული კურსთაშორისი სხვაობა	(965,528)	-
	(4,637,962)	(3,278,403)
	(4,637,962)	(3,072,341)

12. საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	(209,232)	(539,143)
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(293,456)	147,345
	(502,688)	(391,798)

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სავაჭრო ობიექტების ინვენტარი და აღჭურვილობა	კვების ობიექტების ინვენტარი და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	1,237,843	13,203,752	5,477,832	8,480,214	1,333,913	1,621,754	807,130	2,818,011	34,980,449
შემოსვლები	-	-	1,805,087	1,634,706	40,956	365,797	-	393,208	4,239,754
მრავალწლიან ნარგავებზე დაკაპიტალიზირებული პროცენტი	-	-	-	-	-	-	-	144,122	144,122
გასვლა	-	-	(215,058)	(489,078)	(107,103)	(3,183)	-	(2,005)	(816,427)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,237,843	13,203,752	7,067,861	9,625,842	1,267,766	1,984,368	807,130	3,353,336	38,547,898
შემოსვლები	-	675,577	1,085,798	1,122,648	87,534	836,256	187,499	172,804	4,168,116
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებიდან/(საინვესტიციო ქონებად)	811,336	(17,844)	-	-	-	-	-	(250,449)	543,043
გასვლა	(181,677)	-	(23,246)	(96,515)	(16,741)	(27,753)	(17,075)	-	(363,007)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,867,502	13,861,485	8,130,413	10,651,975	1,338,559	2,792,871	977,554	3,275,691	42,896,050
დაგროვილი ცვეთა									
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(3,493,568)	(2,969,479)	(5,557,106)	(1,235,771)	(799,664)	(441,963)	(564,004)	(15,061,555)
ცვეთა	-	(266,610)	(1,103,867)	(1,030,991)	(46,159)	(149,898)	(86,357)	(133,306)	(2,817,188)
გასვლა	-	-	125,060	443,666	107,148	855	-	-	676,729
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(3,760,178)	(3,948,286)	(6,144,431)	(1,174,782)	(948,707)	(528,320)	(697,310)	(17,202,014)
ცვეთა	-	(359,027)	(1,112,171)	(1,166,226)	(56,556)	(244,489)	(75,426)	(93,808)	(3,107,703)
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებად	-	9,889	-	-	-	-	-	24,123	34,012
გასვლა	-	-	23,246	43,313	15,826	11,955	17,075	-	111,415
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(4,109,316)	(5,037,211)	(7,267,344)	(1,215,512)	(1,181,241)	(586,671)	(766,995)	(20,164,290)
საბალანსო ღირებულება									
2023 წლის 31 დეკემბერი	1,237,843	9,443,574	3,119,575	3,481,411	92,984	1,035,661	278,810	2,656,026	21,345,884
2024 წლის 31 დეკემბერი	1,867,502	9,752,169	3,093,202	3,384,631	123,047	1,611,630	390,883	2,508,696	22,731,760

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებისგან არსებული საკრედიტო ხელშეკრულებები უზრუნველყოფილია ჯგუფის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 9,134,688 და 9,138,731 ლარს, შესაბამისად. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

14. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება

2022 წლის 31 დეკემბერი

შემოსვლა

2023 წლის 31 დეკემბერი

შემოსვლა

რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებიდან/(ძირითად საშუალებად)

გასვლა

2024 წლის 31 დეკემბერი

მიწა	შენობა	სულ
1,498,737	4,156,351	5,655,088
23,705	-	23,705
1,522,442	4,156,351	5,678,793
4,693,071	-	4,693,071
(811,336)	268,293	(543,043)
(711,106)	(919,920)	(1,631,026)
4,693,071	3,504,724	8,197,795

დაგროვილი ცვეთა

2022 წლის 31 დეკემბერი

ცვეთა წლის განმავლობაში

2023 წლის 31 დეკემბერი

ცვეთა წლის განმავლობაში

რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებიდან

გასვლა

2024 წლის 31 დეკემბერი

-	(1,269,347)	(1,269,347)
-	(83,151)	(83,151)
-	(1,352,498)	(1,352,498)
-	(80,074)	(80,074)
-	(34,012)	(34,012)
-	197,946	197,946
-	(1,268,638)	(1,268,638)

საბალანსო ღირებულება

2023 წლის 31 დეკემბერი

2024 წლის 31 დეკემბერი

1,522,442	2,803,853	4,326,295
4,693,071	2,236,086	6,929,157

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ინსტიტუტებთან არსებული საკრედიტო ხელშეკრულებები უზრუნველყოფილია ჯგუფის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 127,553 ლარს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს. დეტალებისთვის იხილეთ მე-20 შენიშვნა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი აქვს 2,114,502 ლარის ავანსი. ავანსების მიზნობრიობა არის სასაწყობო ფართების მშენებლობა და კეთილმოწყობა, რომელთა სამომავლო დანიშნულება არის გაქირავება, ასევე სოფლის მეურნეობის დანადგარების შეძენა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი აქვს 777,035 ლარის ავანსი. ავანსების მიზნობრიობა არის არსებული საინვესტიციო ქონებისა და ძირითადი საშუალებების რემონტი.

15. იჯარები

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილ სავაჭრო, კვების ობიექტების და სასაწყობო ფართების იჯარას. იჯარების სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 1-5 წლიან პერიოდს, განახლების უფლებით. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. საიჯარო გადასახდელები ნომინირებულია ლარში და აშშ დოლარში.

გამარტივებული მიდგომის სახით ჯგუფი პორტფელურად აღრიცხავს მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებებს, რადგან ვარაუდობს რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით სტანდარტის გამოყენების გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ არის პორტფელის შემადგენელი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ხელშეკრულებების პორტფელის მიხედვით აღრიცხვისას, ჯგუფი იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც ასახავს პორტფელის სიდიდესა და შემადგენლობას.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. იჯარები (გაგრძელება)

ჯგუფმა ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ლარში არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე ზღვრულ სასესხო განაკვეთად აღებულია წლიური 12.32%, დოლარში კი - 6.14% - 9.77% შუალედში.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სავაჭრო ობიექტები და საწყობი
2022 წლის 31 დეკემბერი	21,905,991
შემოსვლა	5,780,463
მოდIFIკაცია	4,335,298
ცვეთა	(5,962,867)
გასვლა	(133,611)
2023 წლის 31 დეკემბერი	25,925,274
შემოსვლა	482,846
მოდIFIკაცია	8,465,297
ცვეთა	(6,190,404)
გასვლა	(157,592)
2024 წლის 31 დეკემბერი	28,525,421

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სავაჭრო ობიექტები და საწყობი
2022 წლის 31 დეკემბერი	22,723,610
შემოსვლა	5,780,463
მოდIFIკაცია	4,335,298
საპროცენტო ხარჯი	2,067,900
საიჯარო გადასახდელები	(7,360,905)
საკურსო სხვაობა	(85,623)
გასვლა	(129,729)
2023 წლის 31 დეკემბერი	27,331,014
შემოსვლა	482,846
მოდIFIკაცია	8,465,297
საპროცენტო ხარჯი	2,453,090
საიჯარო გადასახდელები	(8,175,449)
საკურსო სხვაობა	965,528
გასვლა	(160,276)
2024 წლის 31 დეკემბერი	31,362,050

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

16. არამატერიალური აქტივები

პირველადი ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზია	სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	910,485	412,264	193,729	1,516,478
შემოსვლა	439,933	50,096	41,698	531,727
2023 წლის 31 დეკემბერი	1,350,418	462,360	235,427	2,048,205
შემოსვლა	680,102	76,180	28,771	785,053
2024 წლის 31 დეკემბერი	2,030,520	538,540	264,198	2,833,258
დაგროვილი ცვეთა				
2022 წლის 31 დეკემბერი	(419,797)	(237,339)	(116,480)	(773,616)
ცვეთა წლის განმავლობაში	(80,723)	(27,339)	(43,357)	(151,419)
2023 წლის 31 დეკემბერი	(500,520)	(264,678)	(159,837)	(925,035)
ცვეთა წლის განმავლობაში	(78,761)	(35,086)	(28,022)	(141,869)
2024 წლის 31 დეკემბერი	(579,281)	(299,764)	(187,859)	(1,066,904)
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერი	849,898	197,682	75,590	1,123,170
2024 წლის 31 დეკემბერი	1,451,239	238,776	76,339	1,766,354

17. ინვესტიციები

I. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
შპს „ქარვასლა“	9,080,432	6,525,262
შპს „სვით გრუპი 2023“	1,181,696	-
	10,262,128	6,525,262

კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	6,525,262	5,932,112
ინვესტიციის ზრდა/(შემცირება)	2,851,630	(33,752)
ინვესტიციის გაუფასურება	-	(87,282)
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოში	885,236	714,184
31 დეკემბერი	10,262,128	6,525,262

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, ნაჩვენებს მეკავშირე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ აქტივები	სულ ვალდებულებები	შემოსავალი	მოგება/(ზარალი)
შპს „ქარვასლა“	28,422,113	2,008,135	5,693,718	3,076,928
შპს „სვით გრუპი 2023“	3,933,860	667	3,098,745	(227,680)
	32,355,973	2,008,802	8,792,463	2,849,248

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, ნაჩვენებს მეკავშირე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ აქტივები	სულ ვალდებულებები	შემოსავალი	მოგება
შპს „ქარვასლა“	23,613,952	3,934,277	5,015,326	2,527,191
	23,613,952	3,934,277	5,015,326	2,527,191

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. ინვესტიციები (გაგრძელება)

II. სხვა ინვესტიციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ინსტიტუტის აქციები	3,843,908	387,460
ფინანსური ინსტიტუტის ობლიგაციები	1,138,438	1,091,300
კერძო საინვესტიციო ფონდის ინვესტიცია	884,863	850,388
არაფინანსური ინსტიტუტის ობლიგაციები	-	535,363
	5,867,209	2,864,511

სხვა ინვესტიციების მოკლევადიანი და გრძელვადიანი წილები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი წილი	571,709	535,363
გრძელვადიანი წილი	5,295,500	2,329,148
	5,867,209	2,864,511

2024 წელს შეძენილი და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტიური ფინანსური ინსტრუმენტები:

- ფინანსური ინსტიტუტის ობლიგაციები 2.5 მლნ უზბეკურ სუმად. კუპონის გადახდა მოხდება გამოსყიდვისას. ობლიგაციების გამოსყიდვის თარიღია 2025 წლის 28 ნოემბერი.
- ფინანსური ინსტიტუტის ობლიგაციები 800,000 აშშ დოლარად. უვადოდ ფლობის უფლებით, საიდანაც სარგებელი უნდა მიიღოს კვარტლურად.
- ფინანსური ინსტიტუტის აქციები 241,828 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგად, უვადოდ ფლობის უფლებით, საიდანაც სარგებელი უნდა მიიღოს დივიდენდის სახით კვარტლურად, ფლობის წილის პროპორციულად.

2023 წელს შეძენილი და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტიური ფინანსური ინსტრუმენტები:

- ფინანსური ინსტიტუტის ობლიგაციები 400,000 აშშ დოლარად. კუპონის გადახდა მოხდება კვარტლურად. ობლიგაციების გამოსყიდვის თარიღია 2030 წლის 27 აპრილი.
- ფინანსური ინსტიტუტის აქციები 105,960 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგად, უვადოდ ფლობის უფლებით, საიდანაც სარგებელი უნდა მიიღოს დივიდენდის სახით კვარტლურად, ფლობის წილის პროპორციულად.
- კერძო საინვესტიციო ფონდის 315,043 აშშ დოლარის ღირებულების ფონდი, უვადოდ ფლობის უფლებით, საიდანაც სარგებელი უნდა მიიღოს დივიდენდის სახით კვარტლურად, ფლობის წილის პროპორციულად.

18. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები*	18,496,840	18,963,941
გასაყიდი ავეჯი და სახლი აქსესუარები*	11,093,983	11,309,972
საქონელი გზაში	11,776,311	6,359,436
უძრავი ქონება**	523,964	-
კვების პროდუქტები	128,006	115,423
სხვა	59,068	182,480
	42,078,172	36,931,252

(*) ჯგუფის არსებული და სამომავლო მარაგებით უზრუნველყოფილია ფინანსურ ინსტიტუტთან დადებული ხელშეკრულებები.

(**) ჯგუფმა 2024 წლის პერიოდში შეიძინა უძრავი ქონება, კერძოდ ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინები. აღნიშნული განკუთვნილია გასაყიდად.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

19. სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	864,462	863,683
სხვა მოთხოვნები*	17,220	559,986
მოთხოვნა უმცირესობის წილის მფლობელთა მიმართ კაპიტალის შევსებაზე	80	198,218
მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(322,136)	(259,057)
	559,626	1,362,830

*მოთხოვნა უმცირესობის წილის მფლობელთა მიმართ კაპიტალის შევსებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ლევან მერკვილაძე	-	146,500
დომენიკო დე ნუცო	80	51,718
	80	198,218

*2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მოთხოვნები წარმოადგენს საბროკერო კომპანიის ანგარიშზე განთავსებულ თანხებს საინვესტიციო საქმიანობისთვის, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად არის ათვისებული.

ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

20. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში*	1,001,657	4,717,421
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,513,021	167,685
ფული სალაროში	62,267	289,009
	6,576,945	5,174,115

*ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში მოიცავს მომხმარებლების მიერ ტერმინალით განხორციელებული გადახდებისას ბანკის მიმართ წარმოქმნილ მოთხოვნებს, რომელიც არის სწრაფად ლიკვიდური მოთხოვნები და რამდენიმე დღეში (1-2 დღე) ხდება მათი ჯგუფის ანგარიშზე ასახვა. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოაღნიშნული თანხები შეადგენს 64,806 და 276,559 ლარს, შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფულის და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

21. არამაკონტროლებელი წილი

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	საქმიანობის სფერო
შპს "ჯეო ორგანიკს"	10%	15%	სოფლის მეურნეობა
შპს "ჯორჯიან დისტრიბუშენ დეველოპმენტ ქომფანი 2024"	49%	-	უძრავი ქონება

	შპს ჯეო ორგანიკსი		შპს ჯორჯიან დისტრიბუშენ დეველოპმენტ ქომფანი 2024
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3,126,938	3,275,951	-
საინვესტიციო ქონება	-	-	4,555,821
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	103,823	-	-
	3,230,761	3,275,951	4,555,821

მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	2,185	832	-
სხვა მოთხოვნები	95,008	262,409	-
საგადასახადო აქტივი	44,598	31,446	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	222,368	7,020	60,286
	364,159	301,707	60,286
სულ აქტივები	3,594,920	3,577,658	4,616,107

კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	4,144,400	3,730,000	4,616,000
(დაგროვილი ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება	(2,522,041)	(2,157,102)	107
სულ კაპიტალი	1,622,359	1,572,898	4,616,107

გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	523,589	560,988	-
მიღებული სესხები	-	920,043	-
	523,589	1,481,031	-

მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	155,676	175,268	-
მიღებული სესხები.	1,293,296	348,461	-
	1,448,972	523,729	-

სულ ვალდებულებები	1,972,561	2,004,760	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3,594,920	3,577,658	4,616,107

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2024
არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებული (დაგროვილი ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება	(148,679)	(168,279)	2,261,892

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

21. არამაკონტროლებელი წილი (გაგრძელება)

	შპს ჯეო ორგანიკის		შპს ჯორჯიან დისტრიბუშენ დეველოპმენტ ქომფანი 2024
	2024	2023	2024
ამონაგები	406,976	252,555	-
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(404,722)	(204,682)	-
საერთო მოგება	2,254	47,873	-
სხვა შემოსავლები	420,549	10,715	-
კომერციული ხარჯები	(42,152)	(28,816)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(578,698)	(151,322)	-
საოპერაციო მოგება	(198,047)	(121,550)	-
ფინანსური ხარჯი	-	(135,901)	-
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(157,012)	-	-
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	(9,879)	223	107
წლის სრული ზარალი	(364,938)	(257,228)	107
	2024	2023	2024
არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებული წლის სრული ზარალი	(36,494)	(38,584)	52

22. მიღებული სესხები

	31.12.2024		31.12.2023	
	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
ფინანსური ინსტიტუტი 1	2,936,134	-	1,150,313	920,043
ფინანსური ინსტიტუტი 2	1,743,707	-	2,242,680	-
	4,679,841	-	3,392,993	920,043

ჯგუფს სესხები მიღებული აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

მიღებული სესხების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	4,313,036	17,033,469
მონეტარული ცვლილებები	(618,964)	(13,660,748)
არამონეტარული ცვლილებები		
დარიცხული პროცენტი	932,201	1,079,934
საგრანტო მოთხოვნა სააგენტოსთან	-	(77,801)
საკურსო სხვაობა	53,568	(61,818)
31 დეკემბერი	4,679,841	4,313,036

ჯგუფს მიღებული აქვს სესხები საბრუნავი საშუალებების შესაძენად. მიღებული სესხები უზრუნველყოფილია:

- დამფუძნებლების - ნანი ანდიაშვილის და კახა ხაზარაძის პირადი თავდებობით;
- ჯგუფის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებებით, იხილეთ შენიშვნა 13 და 14;
- ჯგუფის არსებული და სამომავლო მარაგებით, იხილეთ შენიშვნა 18.

შპს ჯეო ორგანიკის მიერ მიღებული სესხის (სესხის მოცულობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,293,296 და 1,268,504 ლარი, შესაბამისად) ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის არაუმეტეს 50%-ის მეორად უზრუნველყოფას ახდენს სსიპ სოფლის მეურნეობის სააგენტო.

22. მიღებული სესხები (გაგრძელება)

დამფუძნებლების პირად თავდებობას ჯგუფი განიხილავს საგარანტიო კონტრაქტად. აღნიშნული ფინანსური გარანტიის კონტრაქტთან დაკავშირებით ჯგუფს არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

შპს „ჯეო ორგანიკს“-მა (ბენეფიციარი) 2021 წელს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გააფორმა სამმხრივი ხელშეკრულება ძირითადი საშუალებების (ახალი მრავალწლიანი კენკროვანი კულტურების გაშენება) ფინანსირებისთვის, ერთის მხრივ, ფინანსურ ინსტიტუტთან და მეორეს მხრივ, სსიპ სოფლის მეურნეობის სააგენტოსთან. სააგენტო განახორციელებს არაუმეტეს 66 თვის საპროცენტო ხარჯის თანადაფინანსებას სესხის გადახდის გრაფიკის შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად, სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დარღვევის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია შეუჩეროს თანადაფინანსება და მეორადი უზრუნველყოფა, და აღნიშნულ შემთხვევაში დააკისროს ბენეფიციარს სააგენტოს მიერ სესხზე გადახდილი თანადაფინანსების სრული თანხის სააგენტოსთვის დაბრუნება.

შპს „ჯეო ორგანიკს“-მა სახელმწიფოსგან გაწეული დახმარება აღიარა როგორც სახელმწიფო გრანტი, რომელიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადავადებული შემოსავლის სახით. ძირითადი საშუალებების შესაძენად განკუთვნილი გრანტი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარდება მისი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ჯგუფს მიღებულ სესხებზე დადგენილი აქვს ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები. მათი დარღვევის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს ჯგუფის კომპანიებთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა და მოსთხოვოს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად ან გაზარდოს წლიური საპროცენტო განაკვეთი.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის შვილობილი კომპანია შპს „ჩემი სახლი“ ვერ აკმაყოფილებდა მიღებული სესხის ზოგიერთ პირობას (შეზღუდვას), თუმცა ბანკთან გააფორმა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბანკი არ გამოიყენებს სესხის თანხის დაუყოვნებლივ უკანდაბრუნების უფლებას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჯეო ორგანიკსი“ ასევე ვერ აკმაყოფილებდა მიღებული სესხის ზოგიერთ პირობას (შეზღუდვას), რასთან დაკავშირებითაც მიღებული სესხი წარდგენილია მოკლევადიანად. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სასესხო ვალდებულებები გააჩნია მხოლოდ ზემოაღნიშნულ შვილობილებს.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	6,903,339	6,109,734
სახელფასო ვალდებულებები	3,062,473	2,605,845
სხვა	805,010	323,886
	10,770,822	9,039,465
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	1,903,285	2,022,080
	1,903,285	2,022,080
	12,674,107	11,061,545

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

24. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაცია და ცვლილება. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

სესხის ხელშეკრულების შეზღუდვები - ჯგუფს მიღებულ სესხზე დადგენილი აქვს შეზღუდვები, რომლის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს გამსესხებლის მხრიდან სესხის უპირობოდ დაფარვის ან პროცენტის ზრდის უფლების გამოყენება (22-ე შენიშვნა).

აკრედიტივები და საბანკო გარანტიები - კომპანიას ფინანსურ ინსტიტუტთან გაფორმებული აქვს საბანკო გარანტიების ხელშეკრულებები, რომელთა ვადა იწურება 2025 და 2026 წელს. საბანკო გარანტიების მოცულობაა 8,123,307 ლარი. აღნიშნული უზრუნველყოფილია კომპანიის არსებული და სამომავლო მარაგებით.

კომპანიას ფინანსურ ინსტიტუტთან გაფორმებული აქვს საბანკო აკრედიტივის ხელშეკრულებები, რომელთა ვადა იწურება 2025 წელს. აკრედიტივის მოცულობაა 2,959,255 ლარი.

სსიპ სოფლის მეურნეობის სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმება - შპს „ჯეო ორგანიკს“-მა (ბენეფიციარი) 2021 წელს შედგათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გააფორმა სამმხრივი ხელშეკრულება ძირითადი საშუალებების (ახალი მრავალწლიანი კენკროვანი კულტურების გაშენება) ფინანსირებისთვის, ერთის მხრივ, ფინანსურ ინსტიტუტთან და მეორეს მხრივ, სსიპ სოფლის მეურნეობის სააგენტოსთან. ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დარღვევის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია შეუჩეროს თანადაფინანსება და მეორადი უზრუნველყოფა, და დააკისროს ბენეფიციარს სააგენტოს მიერ სესხზე გადახდილი თანადაფინანსების სრული თანხის სააგენტოსთვის დაბრუნება.

მოგების გადასახადი - იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი გაანაწილებს გაუნაწილებელი მოგებას, მას მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა 9,794,807 ლარის ოდენობით.

25. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ჯგუფს და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
საიჯარო ვალდებულება	-	1,881,015
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	551,927

ჯგუფს და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
საიჯარო ვალდებულება	1,172,610	224,614
გაცემული სესხები	843,288	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	198,218

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

25. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ჯგუფს და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
ამონაგები	-	79,358
ფინანსური ხარჯი	-	(82,582)
კომერციული ხარჯი	(9,500)	-

ჯგუფს და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
ფინანსური ხარჯი	(138,535)	(16,403)
კომერციული ხარჯი	-	(101,612)

უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი სარგებელი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეადგენს 2,092,500 და 1,627,800 ლარს, შესაბამისად.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს:

- 2025 წლის პერიოდში შპს „ჩემმა სახლმა“ სრულად დაფარა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასესხო ვალდებულებები. ასევე 2025 წლის პერიოდში დამატებით აიღო 7,558,931 ლარის ღირებულების სესხი, რომლისთვისაც ფინანსურ ინსტიტუტ 1-თან და ფინანსურ ინსტიტუტ 2-თან გაფორმდა დამატებითი შეთანხმება. სესხების მიზნობრიობა არის საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება. სესხის ვადიანობა და საპროცენტო განაკვეთი უცვლელია, რადგან აღებულია უკვე არსებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში.
- 2025 წლის პერიოდში შპს „ჯეო ორგანიკსმა“ დამატებით აიღო 1,130,000 ლარის ღირებულების სესხი, რომლისთვისაც ფინანსურ ინსტიტუტ 1-თან გაფორმდა დამატებითი შეთანხმება. სესხების მიზნობრიობა არის საოპერაციო საქმიანობის დაფინანსება. სესხის ვადიანობა და საპროცენტო განაკვეთი უცვლელია, რადგან აღებულია უკვე არსებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში.
- ჯგუფმა 2025 შეამცირა ინვესტიცია შპს „სვით გრუპში“ 210,000 ლარის ოდენობით.
- ჯგუფმა გამოაცხადა დივიდენდი მის დამფუძნებლებზე 600,000 ლარის ოდენობით, რომელიც სრულად გასცა 2025 წელსვე, ასევე დივიდენდზე დარიცხულმა მოგების გადასახადმა შეადგინა 105,882 ლარი. 2025 წლის პერიოდში გასანაწილებელი დივიდენდის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 2,000,000 ლარი.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

2024 წელი

შინაარსი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	45
ჯგუფის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა	45
ჯგუფში შემავალი კომპანიები	45
ჯგუფის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები	46
ჯგუფის მმართველობა	46
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	46
ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ	47
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	47
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	47
რისკები და შესაძლებლობები	47

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ჯგუფის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ დაფუძნდა 1995 წლის 9 ნოემბერს. მას შემდეგ წლების განმავლობაში კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა საქმიანობის არეალი, შედეგად 2015 წლის ნოემბრიდან დაიწყო ფუნდამენტური რეორგანიზაცია და კომპანია გადავიდა ჰოლდინგურ მართვაზე.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“-სა და მის შვილობილ კომპანიებში (ჯგუფი) დასაქმებულია 1000-მდე ადამიანი.

ჯგუფში შემავალი კომპანიების საქმიანობის სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ფეხსაცმლის, ბავშვის ტანსაცმლის და ქალის აქსესუარების საცალო ვაჭრობა, ავეჯის საცალო ვაჭრობა, სარესტორნო მომსახურება, უძრავი ქონების გაქირავება და სოფლის მეურნეობა.

ჯგუფში შემავალი კომპანიები

ჯგუფი აერთიანებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

- შპს „აი სი არ ტრეიდი“ ჯგუფის მთლიან შემოსავლებში 71% წილით წარმოადგენს ყველაზე მსხვილ მიმართულებას. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ფეხსაცმლის, ბავშვის ტანსაცმლისა და აქსესუარებით საცალო ვაჭრობას.

კომპანია თანამშრომლობს და მართავს ისეთ საერთაშორისო ბრენდებს, როგორებიცაა:

- ფეხსაცმლის ბრენდები: ბატა, ეკკო, ჯეოქსი, ავ ლაბი.
- კომპანიის მიერ შექმნილი ფეხსაცმლის მულტიბრენდული მაღაზიათა ქსელი სტუდიო ფეხსაცმლის გალერია და ლაბორატორია ფეხსაცმლის გალერია, სადაც წარმოდგენილია ცნობილი ბრენდები: Premiata, Philippe Model, Clarks, Valentino, Vagabond, Camper, Replay და ა.შ;
- კომპანიის მიერ შექმნილი ფართო სეგმენტზე გათვლილი ფეხსაცმლის მაღაზიათა ქსელი: კორსო იტალია
- კომპანიის მიერ შექმნილი ბავშვის ფეხსაცმლის მაღაზიათა ქსელი ბამბინო;
- ბავშვის ტანსაცმლის ფრანგული ბრენდები: ოკაიდი და ჟაკადი;
- 2022 წელს გახსნილი ახალი მულტიბრენდული მაღაზიების ქსელი სახელწოდებით სკარპიერა.

კომპანიამ 2018 წლიდან შექმნა საცალო გაყიდვების ახალი არხი - ფეხსაცმლის ონლაინ მაღაზია. www.icrshop.ge.

2020 წელს კომპანიამ დაამატა ახალი საცალო გაყიდვების არხი - ბავშვის ტანსაცმლის ონლაინ მაღაზია - www.okaidi.ge.

შპს „აი სი არ ტრეიდის“ სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. კომპანია ჯამში ფლობს 55 საცალო ვაჭრობის მაღაზიას: ფეხსაცმლის 39, ბავშვის ტანსაცმლის 16.

- შპს „ჩემი სახლი“ აერთიანებს ავეჯის და ინტერიერის აქსესუარების საცალო და საბითუმო ქსელს. 2017 წლიდან „შპს ჩემი სახლის“ მართვის ქვეშ არის სავაჭრო ნიშანი „ლაბორატორია ჩემი სახლი“. 2018 წლის დეკემბერში, შპს „ჩემი სახლმა“ წარმოადგინა გერმანული ბრენდის „კარე“ ოფიციალური საგამოფენო დარბაზი. 2020 წელს კომპანიამ შექმნა საცალო გაყიდვების ახალი არხი ავეჯის და აქსესუარების ონლაინ მაღაზია www.icrhome.ge, 2022 წელს კი კომპანიამ წარმოადგინა ფრანგული ბრენდის „ნატერიალი“ გარე ავეჯის საგამოფენო დარბაზი. 2024 წლის ბოლოსთვის შპს ჩემი სახლი ბაზარზე წარმოდგენილი იყო შემდეგი სავაჭრო ნიშნებით: „ლაბორატორია ჩემი სახლი“, „კარე საქართველო“, „ნატერიალი“, „სლიფ ენდ ბედი“, „ჩემი ოფისი“. კომპანიის ფილიალები განთავსებულია ქალაქ თბილისში შემდეგ მისამართზე აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ, ასევე ქალაქ ბათუმში, პუშკინის ქ. #33. ჯამურად მაღაზიების რაოდენობა შეადგენს 8 ფიზიკურ მაღაზიას და ერთ ონლაინ მაღაზიას. რეალიზაცია და პროდუქციის მიწოდება ხორციელდება საქართველოს მასშტაბით ნებისმიერ რეგიონში.
- შპს „აი სი არ ფუდ ენდ ბევერიჯი“ რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნო მომსახურება 2024 წელს აერთიანებდა კვების 3 ობიექტს: „ტაბლა“, „პომოდორისიმო“ და „პანუცო“. მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილია ასევე ტაბლას და პანუცოს 3 ობიექტით.
- შპს „ჯეო ორგანიკს“ რომლის საქმიანობს სფეროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა დაფუძნდა 2016 წელს პარტნიორებთან ერთად. შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ ფლობს 90% წილს. კომპანია ფლობს სასოფლო სამეურნეო მიწის ფართებს წყალტუბოს რაიონში. 2022 წლიდან კომპანიას მოჰყავს ლურჯი მოცვი, რომლის ბაღებიც გაშენებულია 28 ჰა ფართობზე.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ჯგუფის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები

2024 წლის მიმოხილვა

2024 წელი სტაბილური იყო ჯგუფში შემავალი კომპანიებისთვის. როგორც მაღაზიებში, ასევე სარესტორნო მიმართულებაში არსებული ობიექტების შემოსავალი მზარდი და განვითარებადია.

2024 წელს ჯგუფს ჰქონდა 10,5 %-იანი ზრდა 2023 წელთან შედარებით.

2022 წელს დაიწყო პროგრამული უზრუნველყოფის განახლების პროექტი, რომელიც მოიცავს ERP სისტემის, სერვერული ინფრასტრუქტურის განახლებას და კიბერუსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებას. პანდემიის პერიოდის და შემდგომმა კრიზისმა კიდევ უფრო ნათლად აჩვენა რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ამ კომპონენტის განახლება და გაუმჯობესება. ბიზნეს აპლიკაციების განახლება კომპანიას მექანიკური სამუშაოს დიდი ნაწილის ავტომატიზაციის საშუალებას მისცემს, რათა თითოეულმა თანამშრომელმა მეტი დრო დაუთმოს ანალიზს, მაღალი დონით უზრუნველყოს ონლაინ ვაჭრობასთან დაკავშირებული სერვისებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება და კიდევ უფრო გააუმჯობესოს მარაგების მართვა.

2025 წლის მიმდინარე მდგომარეობით პროექტის ძირითადი ნაწილი შესრულებულია და დაწყებულია დანერგვა. პროგრამა სრულად გაეშვება 2025 წლის ბოლომდე.

2025 წლის გეგმები

ჯგუფში შემავალ კომპანიებს 2025 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს ქსელის გაფართოება, ახალი ბრენდების დამატება და რეალიზაციის ზრდა 2024 წელთან შედარებით.

2025 წელს პროგრამული უზრუნველყოფის განახლების პროექტი დასრულდება.

2024 წელს დაიწყო ახალი სასაწყობო მეურნეობის შექმნა, რაც გულისხმობს ახალი სასაწყობო ფართის მშენებლობას და მის სრულ აღჭურვას. სასაწყობო მეურნეობა სრულად მოემსახურება ჯგუფში შემავალ ორ ყველაზე მსხვილ კომპანიას: შპს ჩემ სახლს და შპს აი სი ტრიდს. შედეგად აღნიშნული ცვლილებები ჯგუფის ორივე კომპანიას დაეხმარება ლოგისტიკური პროცესების გაუმჯობესებაში, ასევე გაიზრდება ქსელის მომარაგების ეფექტიანობა და აღრიცხვიანობის სიზუსტე. მიმდინარე პერიოდში პროექტის ნაწილი აშენებულია და ექსპლოატაციაში გაშვებული. მეორე ნაწილის მშენებლობა მიმდინარეობს, და დასრულდება 2025 წლის ბოლომდე.

მაღაზიის პერსონალის მოტივაციის ამაღლებისა და ეფექტური მუშაობისთვის კომპანიამ დაგეგმა და 2025 წლიდან აამუშავა ინდივიდუალურად შედგენილი განვითარების გეგმების მიხედვით დამატებითი ჯილდოს გაცემის პროექტი.

2025 წელს სოფლის მეურნეობის მიმართულებით იგეგმება მოცვის სანერგე მეურნეობის გაფართოება 40 ჰა-მდე.

ჯგუფის მმართველობა

ჯგუფს მართავს მმართველი დირექტორი, რომელიც ანგარიშვალდებულია აქციონერთა საბჭოს წინაშე.

ჯგუფის მთავარი მიზანია ერთიან სისტემაში მოაქციოს მართვისა და კონტროლის მთავარი პარამეტრები, შექმნას ანგარიშვალდებულებების ერთიანი სისტემა, რადგანაც ჯგუფში შემავალი თითოეული კომპანია არის დამოუკიდებელი, მაგრამ ანგარიშვალდებული საკუთარი დამფუძნებლების მიმართ.

აქციონერთა საბჭო არის ისეთი ძირითადი საკითხების მთავარი პოლიტიკის განმსაზღვრელი და მაკონტროლებელი, როგორიცაა:

- ინვესტიციების განხორციელება,
- უძრავი ქონებების შეძენა და განკარგვა,
- საკრედიტო ვალდებულებების აღება და უზრუნველყოფებით დატვირთვა.
- ახალი პარტნიორების მიმართ გარანტიების გაცემა.
- ადამიანური რესურსებისთვის სოციალური პაკეტების განსაზღვრა
- ლოიალური პროექტების განსაზღვრა
- იხილავს და ამტკიცებს წლის ბიუჯეტს
- იხილავს და ამტკიცებს სახელფასო სისტემას
- იხილავს და ამტკიცებს ადამიანური რესურსების განვითარების პროექტებს

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფის ახალი ან არსებული პროდუქტების/სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ განყოფილებაში: „ჯგუფის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები“.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2024	2023	ცვლილება
ამონაგები	136,793,354	123,752,143	10.5%
საერთო მოგება	64,812,047	60,391,371	7.3%
საოპერაციო მოგება	20,105,795	20,310,201	-1%
წმინდა მოგება (სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი)	15,268,029	17,277,893	-11.6%

ჯგუფის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2024	2023	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	47.4%	48.8%	-1.4%
საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/ამონაგები)	14.7%	16.4%	-1.71%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	11.2%	13.9%	-2.8%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო აქტივები)	12.8%	16.0%	-3.21%

ჯგუფის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2024	2023	ცვლილება
სამუშაო ადგილების საშუალო რაოდენობა	1030	958	72

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და/ან გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

რისკები და შესაძლებლობები

საოპერაციო რისკები

ჯგუფის ძირითადი საოპერაციო რისკები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს აი სი არ ტრეიდი

კომპანიისთვის მნიშვნელოვანია პერსონალისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესება სამუშაო ძალის გადინების მინიმიზაციისთვის.

მიუხედავად ამისა მაღალი პერსონალის დენადობის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია, რასაც განაპირობებს ბაზარზე სამუშაო ძალის დეფიციტი.

კომპანიისთვის მნიშვნელოვანია მარაგების სწორად მართვა და ხარჯების ოპტიმიზაცია.

სისტემატიურად მოწმდება კომპანიაში შესაძლო გადაცდომები, შექმნილია მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ახდენს გადაცდომების პრევენციას, ატარებს როგორც სასაქონლო მარაგების, ასევე სხვა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციებს სისტემატიურად.

მნიშვნელოვანი საოპერაციო რისკია ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა და ინფლაციის დონის ცვლილება.

შპს ჩემი სახლი

ჩემი სახლი ახორციელებს მარაგების იმპორტს, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო კურსის ცვალებადობა, კომპანიისთვის

მნიშვნელოვან საოპერაციო რისკს წარმოადგენს. ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ინფლაციის დონის ზრდა პირდაპირ პროპორციულად იწვევს პროდუქციაზე ფასების გაზრდას. ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე ტრანსპორტირების ხარჯის ზრდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული რისკი იწვევენ პროდუქციის თვითღირებულების ზრდას, რაც თავის მხრივ მოქმედებს საბაზრო ფასზე და შემდეგ მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე, შეიძინოს თუ არა გაზრდილი ფასებით ნივთი.

კომპანიამ სავალუტო საოპერაციო რისკის შესამცირებლად და ფასების შესანარჩუნებლად შეცვლა მიდგომა ფასწარმოქმნის პრინციპში. შესაბამისად, ნაცვლად ფიქსირებული მარჟისა, კომპანია ფასწარმოქმნისას იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული პროდუქციისთვის.

შპს აი სი არ ფუდ ენდ ბევერეჯი

გასტრონომიულ ობიექტებში არსებული სასაქონლო მარაგების ხარისხი, სრულად დამოკიდებულია საქართველოს ბაზარზე არსებულ სადისტრიბუციო საკვების მომწოდებელ კომპანიებზე. შესაბამისად, მათი მიერ მოწოდებული სასაქონლო მარაგების ხარისხის კონტროლი შეიცავს მნიშვნელოვან საოპერაციო რისკებს. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად პროდუქციის ხარისხზე პასუხისმგებელია სუშეფი, რომელსაც შეუძლია ხარისხის კონტროლის შემდეგ მომწოდებელს დაუბრუნოს მიღებული პროდუქცია.

სადისტრიბუციო კომპანიების ან/და აგრარულ ბაზრებში არსებული საკვები პროდუქტების ფასების არამდგრადობა შეიცავს მნიშვნელოვან საოპერაციო რისკებს. შეინიშნება ფასების მნიშვნელოვანი ზრდა. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია შპს პროდუქციის ფასებში, თუმცა ამასთანავე რესტორნის ფასები რჩება კონკურენტუნარიანი მსგავსი ტიპის სარესტორნო მომსახურების ფასებთან შედარებით.

საოპერაციო რისკების შემცველია ობიექტებზე არსებული მატერიალური აქტივების მოვლა-პატრონობის პროცესი, რომელიც რეგულირდება მათი პერიოდულად აღწერის პროცესით.

შპს ჯეო-ორგანიკს

საქმიანობის სფეროდან გამომდინარე საოპერაციო რისკს წარმოადგენს ასევე სტიქიური მოვლენები, განსაკუთრებით ქარიშხლები, რომელიც ყველა ტიპის ნარგავს და ნათესს ანადგურებს. მართალია დასავლეთ საქართველო, სადაც განთავსებულია ჯეო ორგანიკსის ნათესები და ნარგავები არ გამოირჩევა სეტყვის ნალექით, მაგრამ მაინც დამოკიდებულია სხვა ბუნებრივ პირობებზე. აღნიშნული ტერიტორია არ საჭიროებს დამატებით ბადეებს ან სპეციალურ დაცვას.

მაღალ რისკში შეიძლება განვიხილოთ ბიოლოგიური პრობლემები, მავნე მწერების გავრცელება, რომელიც სრულად აზიანებს როგორც ნათეს, ისე მრავალწლოვან მცენარეებს, მითუმეტეს მისი ლოკალური შეწამვლა საკმარისი არ არის, ჩართულობა უნდა იყოს აქტიური მთელი რეგიონის მასშტაბით, რაც კომპანიაზე დამოკიდებული არ არის.

სოფლის მეორეობის მიმართულებაში განსაკუთრებით დიდ რისკს წარმოადგენს სამუშაო ძალის დეფიციტი, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაო სეზონურია და ძალიან რთულია პერსონალის მოძიება მოსავლის ასაღების დროს.

ამ ეტაპზე საკრედიტო თანხებზე ხელმისაწვდომობა მაღალია სასოფლო სამეურნეო კულტურების განვითარებისათვის, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის, რადგან განსავითარებელია სასაწყობო მეურნეობები, მოსავლის სწორად შენახვისთვის, ხარისხის შენარჩუნებისთვის, მის სრულ რეალიზაციამდე. მიმდინარე პერიოდში კომპანია აწარმოებს მოკვლევას, მიმდებარე ტერიტორიაზე მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობის საჭიროების შესახებ, რადგან ინდივიდუალური სასაწყობო მეურნეობის მოწყობა კომპანიისთვის არარენტაბელური იქნება.

შპს საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ

უძრავი ქონების გაქირავების ძირითად რისკს წარმოადგენს მაღალი კონკურენცია სავაჭრო ცენტრების მხრიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელი ბოლო პერიოდში კონცენტრირდება სავაჭრო ცენტრებში, სადაც ყველა კომფორტია შექმნილი ავტოსადგომებიდან დაწყებული დამთავრებული უამრავი ბრენდების ერთ სივრცეში თავმოყრით.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელია ვარაუდის დაშვება შესაძლებელია თუ არა მომავალში გაიზარდოს საიჯარო ქირა 1 კვადრატულ მეტრზე არასავაჭრო ცენტრებში არსებულ ფართებზე.

გარკვეულ რისკს შეიცავს უძრავი ქონების ღირებულება, რომელიც მუდმივად განიცდის რყევებს. აღნიშნული ქონებები წარმოადგენს ჯგუფის მთავარ აქტივს.

კომპანიის ქონებები გაქირავებულია ჯგუფში შემავალ და სხვადასხვა კომპანიებზე.

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აისი არ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, ჯგუფი საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 5).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელო მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 5).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 5).

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

6. ანდიაშვილი
გ. მანია

ნ. ანდიაშვილი

ფინანსური მენეჯერი

ე. მანია



ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, ჯგუფი საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 5).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 5).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 5).

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ნ. ანდიაშვილი

ფინანსური მენეჯერი

ე. ძამამია